

ქ.თბილისი

2016 წლის 8 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 8 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმი და მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

ამა წლის 6 სექტემბერს გაიმართა „ა“ ლიგის მატჩი ვანის „არგო“-სა და თბ „წიქარა“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის ა. ნიქაბაძის ოქმით, მატჩის მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ვანის „არგო“-ს მორაგბემ ანრი ჯანელიძემ ყვითელი ბარათის მიღება გააპროტესტა ბილწსიტყვაობით რის გამოც წითელი ბარათით იქნა გაძევებული მოედნიდან მთავარი მსაჯის მიერ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.8, 2.2.1, 3.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.1 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ვანის „არგო“-ს მორაგბე ა. ჯანელიძე დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
2. სადისციპლინო კომისიის მიერ შეფარდებული სადისციპლინო სანქციის ვადაში ჩაითვლება მატჩის მთავარი მსაჯის ი. მჟავანაძის მიერ მორაგბე ანრი ჯანელიძის მიმართ გამოყენებული წითელი ბარათით გათვალისწინებული დაყოვნების ვადა.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.1 პუნქტი და კლუბ ვანის „არგო“-ს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/